

## სტუდენტის სტატუსის აღდგენა/შეჩერება/

### სტატუსის აღდგენა

სტუდენტს სტატუსის აღდგენის უფლება ეძლევა სამესტრული საფასურის დაფარვის შემთხვევაში, ან შეღავათიანი გრაფკით გასაზღვრული პირობების გათვალისწინებით.

სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია უნივერსიტეტში არაუგვიანეს შუალედური გამოცდების დაწყებამდე (იმის და მიუხედავად აბარებს თუ არა კონკრეტული სტუდენტი შუალედურ გამოცდებს) სტუდენტი სტატუსის აღდგენის მიზნით სასწავლო პროცესის მართვის ელექტორნული სისტემიდან (UMS) წერს განცხადებას სტატუსის აღდგენის შესახებ.

### სტატუსის შეჩერება

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის დადგენილ ვადაში გაუვლელია, ფინანსური დავალიანება;

ბ) სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

გ) სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე;

დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

ე) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა.

ვ) სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ, დ, და ვ შემთხვევაში სტუდენტი, სასწავლო პროცესის მართვის ელექტორნული სისტემიდან (UMS) წერს განცხადებას სტატუსის შეჩერების შესახებ.